

ნეიტრალიტეტი, როგორც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უზუნდამენდური პრინციპი (ავსტრიის მაგალითზე)

მარინა იზორია
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: 10.52340/gbsab.2024.53.07

საკვანძო სიტყვები: ნეიტრალიტეტი, საგარეო პოლიტიკა, ავსტრია, ევროკავშირი.

შესავალი. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო პოლიტიკის დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპები, რომელიც შლის ნაციონალურ სახელმწიფოთა საზღვრებს და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემისკარდინალურ ტრანსფორმირებასახდენს. არსებულ ცვლილებათა კონტექსტში, თავისი მასშტაბით მცირე სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური კურსის შესწავლა, რომლებსაც შეუძლიათ უსაფრთხოების რეგიონალურ სისტემაში და თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარი რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური და ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტაში თავიანთი წვლილის შეტანა, მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, ცხოველ ინტერესს იწვევს. ერთ-ერთ ასეთ ევროპულ სახელმწიფოს ავსტრიის რესპუბლიკა წარმოადგენს, რომელიც თავისი მდიდარი ისტორიული წარსულის წყალობით, წონადი ეკონომიკური პოტენციალით (ქვეყანა ევროკავშირის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ლიდერია მოსახლეობის ცხოვრების დონით) და მუდმივი ნეიტრალური საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსით ევროპულ და მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ძირითადი ტექსტი. ნეიტრალიტეტი ტრადიციულად ორი სახისაა: მუდმივი და ევენტუალური. მუდმივი ნეიტრალიტეტის დროს სამხედრო ბლოკებსა და მოქმედებებზე უარის თქმასთან ერთად ასეთი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა არსებობდეს ერთმანეთთან მეომარი ქვეყნის ჯარები ან სამხედრო ბაზები. ევენტუალური ნეიტრალიტეტის პოზიციისას კი ქვეყანა გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის დროს თავს იკავებს. ნეიტრალური სტატუსის მქონე სახელმწიფოების უფლება-მოვალეობები გადმოცემულია ჰააგის 1907 წლის კონვენციის მე-5 და მე-13 სექციებში.

ნეიტრალიტეტის სტატუსის მქონე სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალი უწესებს სამ შეზღუდვას ომის პერიოდში სხვა სახელმწიფოთა მიმართ:

- არ მიაწოდოს საკუთარი შეიარაღება მეომარ მხარეებს;
- არ დაუთმოს საკუთარი ტერიტორია მეომარ მხარეებს (ბაზირება, ტრანზიტი, გადაფრენა და მისთ.);
- არ გაუწიოს დისკრიმინაცია რომელიმე მხარეს სამხედრო დანიშნულების იარაღისა და საქონლის მიწოდებისას (ანუ შეზღუდვა ან ერთნაირი უნდა იყოს, ან საერთოდ არ უნდა არსებობდეს).

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, არ აწესებს ნეიტრალიტეტის ცნების მკაცრ განსაზღვრებას, რაც რიგ სახელმწიფოებს, ლავირების შესაძლებლობას აძლევს. უფრო მეტიც ხშირად ვხვდებით ურტიერთგამომრიცხავ დეფინიციებს და ტერმინებს, რომელიც უკავშირდება ნეიტრალიტეტს, მაგ, „აქტიური ნეიტრალიტეტი“ (თურქეთი),

„შეიარაღებული ნეიტრალიტეტი“, მაგალითად, შვეიცარია ნეიტრალიტეტის მიუხედავად, ფლობს სამხედრო შენაერთებს, ხოლო კოსტა-რიკა ასევე ნეიტრალური სახელმწიფო, სრულიად დემილიტარიზებულია. უკანასკნელ ათწლეულებში ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტი ეროვნული იდენტობის ელემენტად იქცა. იგი სტილიზებულ იქნა, როგორც ინსტრუმენტი. აქედან ნაციონალური მითი გაჩნდა, რომელიც მშვიდობიანი მცირე ავსტრიის რესპუბლიკის ნეიტრალიტეტს ავსტრიული ერის აყვავებისა და უსაფრთხოების გარანტს უწოდებს. შესაბამისად, ავსტრიული ნეიტრალიტეტი განიხილებოდა არა როგორც უსაფრთხოების პოლიტიკაზე განაცხადი არამედ, როგორც მცირე სახელმწიფოების გლობალური საგარეო პოლიტიკის საფუძველი. ამან ავსტრიის სამშვიდო ფუნქცია წარმოშვა, რომლის რეალიზება მეტწილად საერთაშორისო დამაბულობის მოსახსნელად ხდება. ნეიტრალიტეტი და პოლიტიკური ინტეგრაცია ავსტრიაში მანამდე შეუთავსებლად მიიჩნეოდა, სანამ ქვეყანამ 1989 წელს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ არ განაცხადა. ეს მოსაზრება კიდევ უფრო შეიცვალა იმის შემდეგ, რაც ორივე მმართველმა პარტიამ კონსერვატიულმა აეპ-მ და სოციალისტურმა ასდპ-მ გარკვეული დათქმებით ევროკავშირის წევრობას დაუმიზნეს.

მგავსი საშინაო და საგარეო პოლიტიკური კონსენსუსის შედეგი იყო ავსტრიის გაწევრიანება ევროკავშირში 1995 წლის 1 იანვარს. ამგვარად, მასტრიხტის ხელშეკრულების ფუნდამენტური დებულებების დამატებებით ავსტრიამ ასევე აღიარა ევროკავშირის მიზნები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ხელშეკრულების 23 გვ. ავსტრიას უფლებას აძლევს გამოვიდეს ერთობლივი ქმედებებიდან და CFSP-ის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე თავი შეიკავოს, მაგრამ სინამდვილეში ავსტრიის მთავრობამ მნიშვნელოვანწილად ნეიტრალიტეტზე დე-ფაქტო უარი თქვა. კ. ნოიმანის აზრით, თუ ავსტრია საერთო ევროპულ თავდაცვაში მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტს, ეს უდავოდ ნეიტრალიტეტთან თავსებადობის აშკარა პრობლემას გამოიწვევს.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკურ პოზიციებთან ავსტრიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ადაპტაციის პროცესი ჯერ კიდევ 1995 წლამდე პერიოდში დაიწყო, როდესაც ავსტრიის მთავრობამ ბრიუსელთან და ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონტაქტები გააქტიურა, აგრეთვე თავისი საგარეო პოლიტიკური პოზიციების ევროკავშირის პოზიციებთან ადაპტირება მოახდინა. ავსტრიის ნეიტრალური სტატუსის ფუნდამენტმა, რომელიც 1955 წ. მისი აქტიური საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალურ და პრინციპიალურ საფუძველს შეადგენდა, ცივი ომის დასარულს თავისი შინაარსი და საერთაშორისო ლეგიტიმაცია დაკარგა. შემდგომ, როდესაც ავსტრია 1990-1991 წწ. ერაყის წინააღმდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქციების შემოღების თაობაზე სხვა ნეიტრალურ ევროპულ სახელმწიფოებს შეუერთდა, „ინტეგრალური ნეიტრალიტეტის“ ადრინდელი ინტერპრეტაციიდან (რომელიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს მოიცავდა) „დიფერენციალურ ნეიტრალიტეტზე“ აშკარა გადასვლა მოხდა, სადაც ნეიტრალიტეტი მის სამხედრო ფუნქციებამდე იქნა დაყვანილი (ომებში არ მონაწილეობა გაეროს ნებართვის გარეშე, სამხედრო ალიანსებში შესვლის აკრძალვა და ავსტრიაში უცხო ქვეყნის ჯარისკაცების განთავსება).

ავსტრიის მთავრობა ნეიტრალიტეტის შესახებ მოქმედი ფედერალური კონსტიტუციური კანონის დაცვას აგრძელებდა, მაგრამ თავის კონსტიტუციას დაამატა მდგომარეობა, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ავსტრიის მონაწილეობა CFSP-სში ნეიტრალიტეტს არაფერს ავნებდა. ნეიტრალიტეტის ეს ფორმა ორაზროვანია: ერთი მხრივ, იგი არწმუნებს მოსახლეობას, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის

„კომოგენიზაციის“ პროცესი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკა ავსტრიის ნეიტრალიტეტის ძირითად პრინციპებს არ ეწინააღმდეგება. სხვა მხრივ, ავსტრია ევროკავშირის შიგნით სამხედრო თანამშრომლობას უსიტყვოდ დათანხმდა, იმ ამოცანების შესრულების ხარჯზე, რომელთა გადაწყვეტა ევროსაბჭოს ამსტერდამის სხდომაზე (1997 წ.) იქნა მიღებული. ასეთმა არაერთმნიშვნელოვანმა პოლიტიკამ ავსტრიის ნეიტრალიტეტის ავტორიტეტი და მნიშვნელობა ევროკავშირის კონტექსტითა და გლობალური პოლიტიკის თვალსაზრისით შეარყია.

ამგვარად, არსებობს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტები ავსტრიის ნეიტრალიტეტისადმი ერთგულებასა და ევროკავშირისადმი მის ლოიალობას შორის მოკლე ან საშუალოვადიან პერიოდში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყანას შეგნებულად სურს ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში ინტეგრირება.

ინტერესთა ერთ-ერთ ასეთ კონფლიქტს წარმოადგენს ევროკავშირის ხელშეკრულების 17 (1) გვ. რომელიც თავდაცვითი სამხედრო ალიანსის გაგებით, „საერთო თავდაცვას“ ითვალისწინებს, თუ ევროკავშირი ერთხმად მიიღებს გადაწყვეტილებას. ამ კავშირში მონაწილეობა ნებისმიერ შემთხვევაში ავსტრიის მიერ ნეიტრალიტეტზე უარის თქმას ნიშნავდა. მითუფრო მაშინ, როდესაც ავსტრიას ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და შეზღუდვების უსიტყვო აღიარების

ფ. ლაიდენმიულერმა სავსებით დასაშვებად მიიჩნია, რომ სახელმწიფო ამ პირობებს დაემორჩილებოდა და სამხედრო ალიანსს დაეთანხმებოდა. ამ შემთხვევაში ავსტრია მთლიანად უარს იტყოდა თავის სტატუსზე. ამის წინაპირობას პარლამენტში ხმათა 2/3 უმრავლესობა წარმოადგენდა კონსტიტუციაში ცვლილებების შესტანად. თუმცა, თუ ქვეყანას თავისი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება სურს, მას შეუძლია კენჭისყრის დროს პასიური პოზიცია შეინარჩუნოს და, ამრიგად, „კონსტრუქციულად შეიკავოს თავი“. შემდგომი ინტერესთა კონფლიქტი ავსტრიის CFSP-ში გაწევრიანებაზე საერთო პოზიციების ჩამოყალიბება და მათი კოორდინაციაა. მიუხედავად წევრი-ქვეყნების ერთობლივი მოქმედების სამართლებრივი ვალდებულების მიუხედავად, საეჭვოა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოში ერთიანი პოზიციის მიღების შესახებ ვალდებულების არსებობა. ამრიგად, თუ ავსტრია, თავისი ნეიტრალიტეტის შესახებ დათქმის გამო ზოგად პოზიციას არ დაეთანხმებოდა, ის ღია დარჩებოდა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მიიჩნეოდა ასეთი ქვეყა ევროკავშირის მიმართ არალოიალობად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც CFSP-ის ფარგლებში ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს კომპეტენცია არ გააჩნდა.

აგრეთვე გაკრიტიკებულ იქნა ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება სახელმწიფოს წარმოექმნას თუკი მან ევროკავშირის ხელშეკრულების 23 გვ.-ის მიხედვით, კენჭისყრის დროს „კონსტრუქციულად თავს შეიკავებს“. როგორც აღინიშნა, „კონსტრუქციული თავშეკავების“ შემთხვევაში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი მოქმედებისაგან, რომლებმაც შეიძლება კავშირის მოქმედებებს მიღებულ გადაწყვეტილებებთან დამოკიდებულებაში ხელი შეუშალოს. მოცემული მდგომარეობა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დაბრკოლების აკრძალვა, რაც თავის მხრივ, ამ მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ყველა მონაწილესთვის უარყოფით შედეგებს ადვილად გამოიწვევს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ავსტრია საპარლამენტო რესპუბლიკას წარმოადგენს, ცალკეული პარტიების პოლიტიკოსთა პოლიტიკურ პროგრამებს და თვალსაზრისებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომლებიც ქვეყნის ხელისუფლების სათავეში იმყოფებიან. ქვემოთ შედარებით დაწვრილებით იქნება განხილული პარლამენტში წარმოდგენილი ავსტრიული პარტიების გაბატონებული მოსაზრებები და ნეიტრალიტეტისადმი მათი დამოკიდებულება. ისტორიულ კონტექსტში მხარეთა პოზიციების ცვლილების

შესახებ ასე წარმოდგენილი ინფორმაცია ავსტრიის ფაქტობრივი საგარეო პოლიტიკური კურსისა და მისი ნეიტრალიტეტის შესახებ დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

ამასთან დაკავშირებით, კვლევაში მოცემულია მცდილობა არა მხოლოდ განიხილოს მხარეების მიერ წარსულში დაფიქსირებული პოზიციები, არამედ მათი ამჟამინდელი შეხედულებების დოკუმენტირებაც მოახდინოს და ამით ავსტრიის უსაფრთხოების სამომავლო პოლიტიკაზე წარმოდგენა შეიქმნას.

ავსტრიის კონსერვატიულმა სახალხო პარტიამ უკვე გასული საუკუნის 60-იან წლებში განაცხადა, რომ განწყობილია ევროკავშირში ინტეგრაციისთვის, თუმცა რამდენადაც პარტია 1970-1986 წწ. მთავრობის შემადგენლობაში არ შედიოდა, პარტიამ მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს კვლავ შეძლო ევროკავშირის საკითხით დაკავებულებით. მაშინ როდესაც სოალისტები ასდპ-დან ავსტრიის ნეიტრალურ სტატუსთან დაკავშირებით ინტეგრაციის შესახებ უკმაყოფილებას გამოხატვდნენ, კონსერვატორები ევროინტეგრაციასა და ნეიტრალიტეტს შორის არანაირ წინააღმდეგობას არ ხედავდნენ, რასთან დაკავშირებითაც პარტია ნატოში გაწევრიანებისკენაც იხრებოდა. ყოველივე ამის მიზეზი პარტიულ პროგრამაში აღნიშნული პრობლემა იყო, რომლის მიხედვით, შეცვლილი უსაფრთხოების პოლიტიკის გამო (Friedenspolitik) ავსტრიას წინააღმდეგ უნდა მოერგებოდა ახალ პირობებს. ამიტომ ავსტრიას უნდა გაეგრძელებინა აქტიური მონაწილეობა CFSP-ში, რომელიც ადასტურებდა ავსტრიის შეიარაღებული ძალების მნიშვნელობას ნეიტრალიტეტისა და, უპირველეს ყოვლისა, ავსტრიის სუვერენიტეტის დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ ANP-ის საბაზო პროგრამა არ ეხება ნეიტრალიტეტს, არამედ უფრო მეტად ნატოში გაწევრიანების სასარგებლოდ არგუმენტებს ადასტურებს. მოგვიანებით პარტიამ კურსი შეცვალა, რომელშიც ნატოში გაწევრიანების ვარიანტი მთლიანად გამოირიცხა. ამჟამად ANP მიიჩნევს, რომ ავსტრია CFSP-ში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღებს მონაწილეობას, აკი გამოაცხადა კიდევ მხარდაჭერა საერთო თავდაცვისთვის, მათ შორის ორგანიზაციის წევრებს შორის დახმარების გარანტიის ჩათვლით. გარდა ამისა პარტიამ ევროკავშირთან და ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ თავისი აქტიური პოზიციის შესახებ განაცხადა. ანპ-ის ლიდერთა აზრით, ევროკავშირისადმი ავსტრიის სოლიდარობა ავსტრიის „სამშვიდობო პოლიტიკის“ ნაწილია, ამიტომ ავსტრიამ სამომავლოდ აქტიურად უნდა იყოს ჩართული CFSP-ში. ისინი, ასევე, ადასტურებენ ნეიტრალიტეტის და, უპირველესად, ავსტრიის სუვერენიტეტის დასაცავად ავსტრიის შეიარაღებული ძალების მნიშვნელობას. მთლიანობაში, შეიძლება აღინიშნოს ნეიტრალიტეტისადმი პარტიის ერთობ უცნაური დამოკიდებულება. თუმცა 1990-იან წლებში ამ საკითხში ანპ-მ საკმაოდ თავშეკავებული პოზიცია დაიკავა. მოგვიანებით მან აღიარა მოსახლეობაში ნეიტრალიტეტის იდეის პოპულარობა და თავისი პოზიცია რამენადმე შერბილა. ნეიტრალიტეტისადმი განსაკუთრებით გამორჩეული დამოკიდებულება შეიძლება დავინახოთ ანპ-ის ნაციონალური საბჭოს ყოფილი წევრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მიხაელ შპინდელეგერის ერთ-ერთ ინტერვიუში. მ. შპინდელეგერის აზრით, ავსტრია გარე სამყაროს თვალში ნეიტრალური ქვეყანაა, ხოლო იმაში, რაც ევროკავშირის საშინაო პოლიტიკას შეეხება, მისმა პარტიამ სოლიდარობა გამოხატა ევროკავშირის სხვა წევრების მიმართ CFSP-ს თავდაცვის ერთიან ინსტრუმენტად გადაქცევის საკითხში. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ CFSP ანსხვავებს ნეიტრალიტეტს ევროკავშირის გარეთ და მის შიგნით. შპინდელეგერმა განაცხადა, რომ ნეიტრალიტეტი საფრთხის ქვეშ მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება, თუკი ავსტრიას ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და ავსტრიული ჯარების

გამოყვანისათვის გადაწყვეტილების მიღება მოუწევს.

1986 წელს ავსტრიის სდპ-ისა და ანპ-ის კოალიციის დროს ფედერალურმა კანცლერმა ფრანც ვრანცკიმ ნეიტრალიტეტის შენარჩუნების აუცილებლობას და მისგან მომდინარე ინტეგრაციულ პრობლემებს ხაზი გასუვა, რამდენადაც ასდპ ევროკავშირის გაწევრიანების შესახებ ინტეგრაციულ დებატებს იმთავითვე აკრიტიკებდა, მიუხედავად იმისა, რომ 1980-იანი წლების დასწყისში მხარს უჭერდა ერთიანი ბაზრის შექმნას. ამრიგად, პარტია საგარეო პოლიტიკაში ახალი კურსის მიღებას ნატოსთან სამხედრო ალიანსს არ დათანხმდა და ნეიტრალიტეტზე უარი თქვა, რამდენადაც მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომ ავსტრიისთვის არანაირი მყისიერი საფრთხე არ არსებობდა. საერთაშორისო სოლიდარობა ასდპ-ს გაეგებოდა, როგორც ავსტრიის მონაწილეობა მშვიდობის მხარდასაჭერად და კრიზისულ სიტუაციებში სამხედრო დახმარების გაწევა და არა იძულება ყოველივე ამის შესასრულებლად. ნეიტრალიტეტზე მითითება განსაკუთრებით გამოხატულია პარტიის საბაზისო პროგრამაში. მასში ნათქვამია, რომ ავსტრიას ნეიტრალიტეტის ფორმით დადასტურებული უსაფრთხოების კონცეფცია აქვს.

ავსტრია და ევროკავშირის წევრი ქვეყნები მსოფლიო მზარდი ოდენობის კრიზისების წინაშე აღმოჩნდნენ, მათ შორის კლიმატის ცვლილება, სერიოზული საფინანსო და ეკონომიკური რყევები, ომის შედეგად განადგურებული ღარიბი ქვეყნებიდან ლტოლვილების მზარდი რაოდენობა. თუმცა ავსტრიის მთავრობა, ისევე როგორც მოსახლეობა საგარეო პოლიტიკურ პრობლემებს სულ უფრო ხშირად ნაციონალური ინტერესების ვიწრო პრიზმიდან განიხილავდა და მსჯელობდა, რითაც ნელ-ნელა ძირს უთხრიდა ბ.კრაისკის და ა.მოკის მიერ გამოკვეთილ აქტიური საგარეო პოლიტიკისა და გლობალური პერსპექტივის გაგრძელების სურვილს.

ავსტრიის მთავრობამ და გავლენიანმა საზოგადო მოღვაწეებმა ვერ შეძლეს იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ ბრიუსელისთვის ნაციონალური სუვერენიტეტის უფლებების გადაცემა (1993 წელს რატიციფირებული მასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით) და CFSP-ს გააქტიურება ნიშნავდა, რომ ევროკავშირი მიემართებოდა პოლიტიკური კავშირის შექმნისკენ, რომელშიც ნაციონალური ინტერესების დაცვა და გამოდევნება უნდა მიესადაგებოდეს ისეთი პოლიტიკის გატრების ვალდებულებას, რომელიც „სოლიდარული თანამეგობრობის“ მაგვარ რაღაცას ჩამოაყალიბებს. აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი კომუნისტური ქვეყნების ხარჯზე ევროკავშირის გაფართოების პროცესში ავსტრიის უმნიშვნელო როლმა, მისმა უუნარობამ გაემართლებინა ევროკავშირის მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, რომ ავსტრია, როგორც ისტორიული და პოლიტიკური პროექტი დადებით როლს შეასრულებდა ევროკავშირის სამომავლო საკითხებში ნათელი მაგალითი იყო ავსტრიის მთავრობის მზარდი ტენდენციისა, ევროკავშირის შიგნით აქტიური პოლიტიკური პოზიციებისგან და საერთაშორისო საზოგადოებისთვის (ამ შემთხვევაში, ევროკავშირისთვის) „კარგი სერვისების“ მიწოდების მცდელობებისგან თავი შეეკავებინა და უკან დაეხია.

ავსტრიის მთავრობის პოლიტიკამ ევროკავშირის გაფართოების პროცესში, რომლის შედეგად 2004 და 2007 წლებში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა თორმეტამდე გაიზარდა, ვერც ევროკავშირის და ვერც აღმოსავლეთ ევროპელი კანდიდატი ქვეყნების მოლოდინები ვერ გაამართლა, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ მათ მიერ ევროკავშირის წევრობის განცხადის შეტანისას ავსტრია ხიდისა და ერთგვარი პოლიტიკური მენტორის როლს შესრულებდა.

გააქტიურდა დისკუსია ნატოსთან ავსტრიის შეერთების შესახებ, რამაც 2000-2004 წწ პერიოდში ნეიტრალიტეტი კრიზისამდე მიიყვანა. მაშინ ავსტრიის რესპუბლიკას შეეძლო ნატოს წევრი გამხდარიყო, თუმცა ამ მხრივ თავს იკავებდნენ ქვეყნის

პოლიტიკური პარტიები (განსაკუთრებით ასდპ), რომელთაც ავსტრიის ნაციონალურ საბჭოში ხმათა უმრავლესობა ჰქონდათ მუდმივი ნეიტრალურ სტატუსზე უარის თქმის წინააღმდეგ გამოვიდნენ. იუგოსლავიის კონფლიქტის დროს ავსტრია ამერიკელ ჯარებს მათი ტერიტორიის გადაკვეთის საშუალებას არ აძლევდა ემყარებოდა რა თავის ნეიტრალურ სტატუსს, ეს მუდმივი ნეიტრალური სტატუსისათვის ავსტრიის საგარეო პოლიტიკური მოქმედებების დიდ მობილობაზე მეტყველებს.

2020 წელს ავსტრიის ტავდაცვის მინისტრის კლაუდი ტანრეის სიტყვებით სამთავრობო პროგრამა ადასტურებდა სახელმწიფოს ძალისხმევას უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ევროპულ დონეზე თანამშრომლობისათვის. ეს თავის თავში მოიცავდა ნატოსთან თანამშრომლობას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში. მინისტრის აზრით ეს შეესაბამებოდა ავსტრიის მრავალწლიან ტრადიციას მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კრიზისულ სიტუაციებში საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის სტიქიური უბედურებების დროს ავსტრიის მრავალწლიან ტრადიციას.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში ავსტრია მონაწილეობს ნატოსთან პარტნიორული ურთიერთობების „ანალიზისა და დაგეგმარების“ პროცესში. ნატოსთან პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს წარმატებულად, რადგანაც ნეიტრალურმა ავსტრიამ ISAF პროგრამის ფარგლებში, ავღანეთში ერთობლივ სწავლებებში აუცილებელი გამოცდილება მიიღო ასევე განახორციელა შეირარების სტანდარტიზაცია ნატოს ნორმების შესაბამისად.

როდესაც ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაური სებასტიან კურცი (2013-2017 წწ.) გახდა სამინისტროში ზოგიერთი სტრუქტურული ცვლილება მოხდა. ს. კურცმა მთელი ძალისხმევა ავსტრიის საგარეო პოლიტიკური კურსის გასააქტიურებლად მიმართა. კერძოდ, ახალი კაბინეტის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად მნიშვნელოვან საერთაშორისო შუამავლად ავსტრიის პოზიციონირება იქცა. მსგავსი დიპლომატიური ხაზი შეინიშნებოდა, კერძოდ, ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებში, ასევე შედარებით აქტიური როლი შეასრულა ავსტრიამ ევროკავშირში ლტოლვილების კრიზისში. მოცემული ტენდენციები შეიძლება განხილულიყო, როგორც იმის მზარდი გაცნობიერება, რომ ავსტრიამ საკუთარი საგარეო პოლიტიკის გასააქტიურებლად შემდგომშიც უნდა მიმართოს ძალისხმევა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნეიტრალიტეტი არის არა მხოლოდ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის იმპერატივა, არამედ ავსტრიელთა ნაციონალური იდენტობისა და თვითცნობიერების ნაწილი, რაც აისახა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გარდა ამისა ნეიტრალიტეტის გაგება საერთაშორისო მდგომარეობისა და ავსტრიის ინტერესების მიხედვით იცვლებოდა. თუკი თავიდან თავისი არსებობის 30 წლის მანძილზე ავსტრიის რესპუბლიკა მიისწრაფოდა საერთაშორისო ურთიერთობებში მისთვის ახალი, შუამავლის როლი შეესრულებინა 1980-იანი წლების ბოლოს მან თანდათანობით რეალისტური, პრაგმატული საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომელიც დუალისტური მიდგომებით გამოირჩეოდა, რადგანაც ვენა მწავავედ აკრიტიკებდა ევროკავშირის მიგრაციულ პოლიტიკას და იმავდროულად მონაწილეობას ღებულობდა ევროსტრუქტურებში საერთაშორისო პრობლემების მოსაგვარებლად. ევროკავშირში შესვლით ავსტრია ნეიტრალიტეტის პოლიტიკის მზარდაჭერას აგრძელებდა და სულ უფრო მეტ ყურადღებას რეგიონალურ და გლობალურ დონეზე საკუთარი ნაციონალური ინტერესების დაცვას უთმობდა. ამასთან მოცემული საგარეო

პოლიტიკური მიზნის მისაღწევ ინსტრუმენტად არა მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ტრადიციულ მექანიზმებს, არამედ კულტურულ დიპლომატიას მიმართავდა, რომელიც ავსტრიის „რბილი ძალის პოლიტიკის“ მოუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Zemanek K. Austria's Policy of Neutrality: Constants and Variables. Wien, 1984.
2. Waltz K.N. Realism and International Politics. Routledge, 2008.
3. Синдеев А.А. Истоки европейской безопасности: фактор нейтралитета в начале 1970-х гг. // Современная Европа. 2021. № 3. С. 71–82
4. Швейцер В.Я. Проблема австрийского суверенитета: прошлое и настоящее. Защита государственного суверенитета опыт Евросоюза и европейских стран. М.: ИЕ РАН, 2018. С. 61–73
5. Синдеев А.А. Дефиниции и парадигмы европейской безопасности // Научноаналитический вестник ИЕ РАН. 2021. № 3. С. 33–40;
6. Новосельцев Е.Н. Внешняя политика Австрии: дис. ... канд. ист. наук: 07.00.05. М.: Изд-во ИМО, 1962. 87 с.
7. Чарноцки А. Основные аспекты и направления внешней политики Австрии, 1955–1970 гг.: автореф. дис. ... канд. ист. наук: 07.00.05. М., 1974. 187 с.
8. Закаурцева Т.А., Карпович О.Г. Россия и “коллективный Запад” в контуре формирующегося многополярного мира // Вестник
9. Безбородов А.Б. Россия-Австрия: вехи современной истории. М: Энерджи пресс, 2017. 249 с.

NEUTRALITY AS A STATE THE FUNDAMENTAL PRINCIPLE OF FOREIGN POLICY (ON THE EXAMPLE OF AUSTRIA)

Marina Izoria

Doctor of Social Sciences

Sokhumi State University (Georgia)

REZUME

Neutrality is not only an imperative of the state's foreign policy, but also part of the Austrians' national identity and self-awareness, which was reflected in the process of making foreign policy decisions. In addition, the understanding of neutrality varied according to the international situation and Austria's interests. If at the beginning during the 30 years of its existence, the Republic of Austria aspired to play a new, mediatory role in international relations, at the end of the 1980s it gradually began to pursue a realistic, pragmatic foreign policy, which was characterized by dualistic approaches, as Vienna strongly criticized the migration policy of the European Union and at the same time participated in the European structures. to solve international problems. By joining the European Union, Austria continued to support the policy of neutrality and paid more and more attention to the protection of its national interests at the regional and global level. At the same time, as a tool to achieve the given foreign policy goal, he applied not only the traditional mechanisms of international politics and economic cooperation, but also cultural diplomacy, which is an indispensable element of Austria's "soft power policy".

Keywords:Neutrality, foreign policy, Austria, European Union.